

## დაბადება

### დასაწყისი

- 1 დასაწყისში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა.  
ფსალმ.88:12,13;135:5;145:6. იოან.1:3. საქმე.14:15.  
 ებრ.11:3. გამოცხ.14:7.
- 2 და მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფსკრულის პირზე. და სული ღმერთისა იძვროდა წყლის პირზე.
- 3 და თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი.  
ფსალმ.32:9. 2კორ.4:6.
- 4 და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგი იყო, და გააჰყო ნათელი ბნელისაგან.
- 5 და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე. და იყო საღამო და იყო დილა – ერთი დღე.
- 6 და თქვა ღმერთმა: „იყოს მყარი წყლებს შორის მათ გამოყოფად“.  
ფსალმ.32:6;135:5;148:4. იერ.10:12;51:15.
- 7 და შექმნა ღმერთმა მყარი, და გაყო ღმერთმა მყარს ქვემო წყალი მყარს ზემო წყლისაგან. და იქმნა ასე.  
ფსალმ.18:2.
- 8 და უწოდა ღმერთმა მყარს ცა. და იყო საღამო და იყო დილა – მეორე დღე.
- 9 და თქვა ღმერთმა: „შეგროვდეს მთელი ცის ქვეშეთის წყალი ერთად და გამოჩნდეს ხმელეთი“.  
 და იქმნა ასე.  
ფსალმ.32:7;135:6. 2პეტრ.3:5.
- 10 და უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა და შეგროვილ წყალს – ზღვები. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.
- 11 და თქვა ღმერთმა: „აღმოაცენოს მიწამ მცენარე, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი – მიწაზე თავისი გვარისამებრ, თესლოვანი ნაყოფის მომტანი“. და იქმნა ასე.
- 12 და აღმოაცენა მიწამ მცენარე, თესლის მთესველი და ხე ნაყოფიერი – მიწაზე თავისი გვარისამებრ, თესლოვანი ნაყოფის მომტანი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.
- 13 და იყო საღამო და იყო დილა – მესამე დღე.
- 14 და თქვა ღმერთმა: „იყვნენ მნათობნი ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, და იყვნენ

ისინი ნიშნებად, რომ აღნიშნონ წელიწადის დრონი, დღენი და წელნი.  
ფსალმ.73:16;135:7-9.

15 და იყვნენ ცის მყარზე მნათობლად, რათა მისცენ ნათელი მიწას“. და იქმნა ასე.

16 და გააჩინა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: უფრო მოზრდილი მნათობი – დღის განმგებლად, და უფრო მცირე მნათობი – ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები.  
ჩკლ.4:19. იერ.31:35.

17 და დასხა ისინი ცის მყარზე მიწის გასანათებლად,

18 რათა განეგოთ დღე და ღამე და გაეყარათ ნათელი და ბნელი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

19 და იყო საღამო და იყო დილა – მეოთხე დღე.

20 და თქვა ღმერთმა: „აივსოს წყალი ცოცხალი არსებებით, და ფრინველებმა იფრინონ მიწის ზემოთ, ცის მყარზე“.

21 შექმნა ღმერთმა დიდი ვეშაპები და სხვადასხვა ქვეწარმავალნი, მათი გვარისამებრ, რომელთაც აავსეს წყალი, და ყველა ფრთოსანი ფრინველი მათი გვარისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.  
იობ.40:20. ფსალმ.103:25.

22 და აკურთხა ისინი ღმერთმა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, და გაავსეთ ზღვის წყლები, და ფრინველმა იმრავლოს მიწაზე“.  
 და ბ.8:17.

23 და იყო საღამო და იყო დილა – მეხუთე დღე.

24 და თქვა ღმერთმა: „წარმოშვას მიწამ ცოცხალი არსებანი მათი გვარისამებრ – პირუტყვი, ქვეწარმავალნი და მიწის მხეცები მათი გვარისამებრ.“  
 და იქმნა ასე.  
იობ.12:7.

25 და შექმნა ღმერთმა ცხოველნი მიწისა მათი გვარისამებრ, და პირუტყვი – მისი გვარისამებრ, და ყოველი ქვეწარმავალი მიწისა – მისი გვარისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

26 და თქვა ღმერთმა: „შეგქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად. და ბატონობდეს თევზებზე ზღვაში და ცის ფრინველებზე, და პირუტყვზე მთელს ქვეყანაზე, და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც იძვრის მიწაში“.  
 და ბ.5:1.